ადრესატი:

ბესიკ ტაბიძე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

წერილის ნომერი:**31-31231804**
თარიღი: **29/06/2023**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“

სხდომის ოქმი N 3

ქ. ლანჩხუთი 26.06.2023 წელი

13:00 საათი

სხდომას უძღვებოდა: ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე: **გიორგი გოგუაძე.**

ფრაქციის წევრები: **გივი ცინცაძე, ირმა მგელაძე.**

სხდომას ესწრებოდა მოწვეული სტუმრები: მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი **ირაკლი ხუხუნაიშვილი,** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი **როლანდ ლაშხია,** მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი **შოთა ჩაგუნავა** მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში **ლაშა სარჯველაძე,** საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **ხათუნა ვადაჭკორია.**

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი გოგუაძემ განაცხადა, რომ ფრაქციის თავმჯდომარის, კახაბერ ასკურავასთან სიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე, ის წარუძღვება ფრაქციის სხდომას.

ფრაქციის სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი გოგუაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ ,,სარეაბილიტაციო ცენტრი იავნანასთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემისას განსაზღვრული წლიური ქირის საფასურის ოდენობაზე, მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი გოგუაძე, ირაკლი ხუხუნაიშვილი/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განმეორებითი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებისას, საწყისი

საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი გოგუაძე, ირაკლი ხუხუნაიშვილი/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი გოგუაძე, ირაკლი ხუხუნაიშვილი/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით მიმღები პირების, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლებაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი გოგუაძე, ირაკლი ხუხუნაიშვილი/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, შპს „საქართველოს ფოსტა-სთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემისას განსაზღვრული წლიური ქირის საფასურის ოდენობაზე, მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი გოგუაძე, ირაკლი ხუხუნაიშვილი/

6. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კურორტ გრიგოლეთის ცენტრალური ქუჩისათვის წმ. გრიგოლის სახელის“ მინიჭების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

/ მომხსენებელი: გიორგი გოგუაძე/

7. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გვიმბალაურის ადმინისტრაციული ერთეულის სოფ. ჯუნეწერში არსებული სკვერისთვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენოსანი დავით ბოლქვაძის სახელის მინიჭების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის შესახებ.

/ მომხსენებელი: გიორგი გოგუაძე/

8. სხვადასხვა საკითხები

დღის წესრიგის პროექტის მიმართ ფრაქციის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

ფრაქციის თავმჯდომარემ, გიორგი გოგუაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

მომხრე 3; წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ ,,სარეაბილიტაციო ცენტრი იავნანასთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემისას განსაზღვრული წლიური ქირის საფასურის ოდენობაზე, მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი ფრაქციის წევრებს გააცნო სხდომის თავმჯდომარემ, **გიორგი გოგუაძემ.**

მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა **ირაკლი ხუხუნაიშვილმა,** აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას, განცხადებით მომართა ა(ა)იპ ,,სარეაბილიტაციო ცენტრი იავნანას“ (ს.კ 433642356) დირექტორმა, ციცინო ჩხარტიშვილმა (კანცელარიის N10/302313146-30 11.05.2023 წელი), რომელმაც ცენტრის მიერ განსახორციელებელი პროგრამის ფარგლებში, კერძოდ „ბავშვის უფლებათა კოდექსით“ განსაზღვრული ბავშვთა მხარდამჭერი ღონისძიებების გატარების, ბავშვის მიტოვების ან ოჯახისაგან განცალკევების პრევენციის, ოჯახების მხარდაჭერისა და ბენეფიციართა სოციალური ინკლუზიის მიზნით, ითხოვა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ქ. ლანჩხუთში მარჯანიშვილის ქ. N11-ში მდებარე 747.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზედ განთავსებული 108,68 კვ.მ. შენობა-ნაგებობა (ს/კ 27.06.56.086)) პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა ირაკლი ხუხუნაიშვილმა განმარტა, რომ სამსახურმა განსაზღვრა პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადასაცემი, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების წლიური ქირის საფასური, რომელიც შეადგენს 12 ლარს.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი გოგუაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 3, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განმეორებითი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებისას, საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი ფრაქციის წევრებს გააცნო სხდომის თავმჯდომარემ, **გიორგი გოგუაძემ.**

მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა **ირაკლი ხუხუნაიშვილმა,** აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებულმა აუქციონატორმა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის უძრავ ქონების, კერძოდ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ჩიბათში მდებარე 4893.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 27.09.50.281) პრივატიზების მიზნით, სამჯერ უზრუნველყო, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნის შესაბამისად, ელექტრონული აუქციონის მოწყობა - სხვადასხვა საწყისი საპრივატიზებო საფასურით, მაგრამ მიუხედავად ამისა მისი განკარგვა არ განხორციელდა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსის განმარტებით, სამსახურის მოსაზრებაა, რომ ზემოაღნიშნულ უძრავ ქონებაზე ისევ გამოცხადდეს განმეორებითი ელექტრონული აუქციონი, რომლის საფუძველზეც მომზადდა წარმოდგენილი პროექტი, სადაც უძრავი ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასური 70%-ით შემცირდა.

გიორგი გოგუაძემ განაცხადა, რომ აღნიშნულ ტერიტორიას აქვს განვითარების პერსპექტივა, სავარაუდოდ არის დაინტერესებული პირი, მისი მოსაზრებით არაა გამართლებული თანხის თითქმის მესამედით შემცირება და არ ეთანხმება ამ პირობას.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი გოგუაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე არცერთი; წინააღმდეგი 3 .

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის

უფლებით, უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი ფრაქციის წევრებს გააცნო სხდომის თავმჯდომარემ, **გიორგი გოგუაძემ.**

მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა **ირაკლი ხუხუნაიშვილმა,** აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას, მიმდინარე წელს, წერილობით (კანცელარიის ნომერი N13/302315112–30 31.02.2023 წ.) მომართა ა.(ა).ი.პ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის“ (ს/კ 433649322) დირექტორმა გოჩა მოქიამ, რომელმაც თავისი წესდებით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, ითხოვა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, (ქ. ლანჩხუთში, ჟორდანიას ქ. N76-ში მდებარე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობის (ს/კ 27.06.52.002) პირველ სართულზე განთავსებული შემდეგი ფართი, კერძოდ: ოთახი N14 – 18,38 კვ.მ. ოთახი N15 – 10,51 კვ.მ. ოთახი N16 – 35,20 კვ.მ. ოთახი N17 – 21,95 კვ.მ. ოთახი N18 – 22,54 კვ.მ. ოთახი N19 – 19,67 კვ.მ. ოთახი N20 – 170,18 კვ.მ. და მესამე სართულზე განთავსებული შემდეგი ფართი კერძოდ: ოთახი N10 – 12,97 კვ.მ. ოთახი N12 – 17,66 კვ.მ ოთახი N13 – 10,05 კვ.მ. ოთახი N17 – 25,60 კვ.მ. ოთახი N18 – 16,37 კვ.მ. ოთახი N19 – 31,81 კვ.მ. ოთახი N20 – 29,52 კვ.მ. ოთახი N21 – 22,91 კვ.მ. ოთახი გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი N22 – 23,59 კვ.მ. ოთახი N23 – 34,72 კვ.მ. (საერთო ფართი - 523,63 კვ.მ.) პირდაპირი განკარგვის წესით, უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემა.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი გოგუაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 3, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით მიმღები პირების, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლებაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი ფრაქციის წევრებს გააცნო სხდომის თავმჯდომარემ, **გიორგი გოგუაძემ.**

მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა **ირაკლი ხუხუნაიშვილმა,** აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას, ერთი და იგივე შინაარსობრივი განცხადებით, წერილობით მომართა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით მიმღებმა პირებმა - ლია კუპრაძემ (კანცელარიის ნომერი N19/302315027-30 30/05/2023 წ.) და მაია თურმანიძემ (კანცელარიის ნომერი N19/30231508-30 30/05/2023 წ.), რომლებმაც - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიასთან გაფორმებული ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის, კერძოდ სარგებლობის ქირის საფასურის გადაუხდელობის გამო, ითხოვეს მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლება.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსის განმარტებით, ამ დროისათვის სარგებლობის უფლებით მიმღებ პირებს - ლია კუპრაძესა და მაია თურმანიძეს სრულად აქვთ გადახდილი მუნიციპალიტეტთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული საიჯარო გადასახადი. სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით მიმღები პირები, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის შემთხვევაში, გათავისუფლდნენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი გოგუაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 3, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, შპს „საქართველოს ფოსტა-სთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემისას განსაზღვრული წლიური ქირის საფასურის ოდენობაზე, მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი ფრაქციის წევრებს გააცნო სხდომის თავმჯდომარემ, **გიორგი გოგუაძემ.**

მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა **ირაკლი ხუხუნაიშვილმა,** აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას, განცხადებით (კანცელარიის ნომერი 30-302308884 29/03/2023 წელი) მომართა შპს „საქართველოს ფოსტის“ (ს/კ 203836233) წარმომადგენელმა გივი კუბლაშვილმა, რომელმაც სამი წლის ვადით, ითხოვა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ქ. ლანჩხუთში, ჟორდანიას ქუჩის მიმდებარედ არსებული 463.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 27.06.51.394) 6 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი) პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსის **ირაკლი ხუხუნაიშვილის** განმარტებით, შპს ,,საქართველოს ფოსტამ“ ითხოვა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე 2022 წლის 22 მარტს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების გაგრძელება ან ახალი ხელშეკრულების გაფორმება ძველ ხელშეკრულებაში არსებული პირობებით. მისივე განმარტებით, ვინაიდან ზემოთაღნიშნული უძრავი ქონების ღირებულება მნიშვნელოვნად აღემატება ძველი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანხას (იმავე ტერიტორიაზე პრივატიზებული და იჯარით გაცემული უძრავი ქონებების ფასი მნიშვნელოვნად აღემატება „საქართველოს ფოსტასთან“ წინა ხელშეკრულებაში არსებულ ფასს) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიამ შპს „საქართველოს ფოსტა“-ს მისწერა (კანცელარიის ნომერი 10/30230754-30 16/03/2023 წელი) საკუთარი პოზიცია უძრავ ქონებასთან დაკავშირებით, ახალ ხელშეკრულებაში საიჯარო ქირის ოდენობა განისაზღვროს საბაზრო ღირებულებიდან გამომდინარე, რაზედაც შპს „საქართველოს ფოსტა“-მ წერილით N POST 23 00012979 (კანცელარიის ნომერი 30-302308884 29/03/2023) განაცხადა თანხმობა ქ. ლანჩხუთში ჟორდანიას ქუჩის მიმდებარედ არსებული 463 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 27.06.51.394 წინანდელი საკადასტრო კოდი 27.06.51.006) 6 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე ახალი პირობებით გაფორმდეს საიჯარო ხელშეკრულება. ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე სამსახურის მოსაზრებაა გადაეცეს განმცხადებელს სასყიდლიანი იჯარის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით, ქ. ლანჩხუთში ჟორდანიას ქუჩის მიმდებარედ არსებული 463 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 27.06.51.394 წინანდელი კოდი 27.06.51.006) 6 კვ.მ.-ი და წლიურ საიჯარო ფასის ოდენობად განისაზღვროს 3600 ლარი, ხოლო ხელშეკრულების ვადად ორი წელი.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი გოგუაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 3, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეექვსე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კურორტ გრიგოლეთის ცენტრალური ქუჩისათვის წმ. გრიგოლის სახელის“ მინიჭების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე ისაუბრა სხდომის თავმჯდომარემ **გიორგი გოგუაძემ.** მან აღნიშნა, სამთავრობო კომისიიდან მიღებულია თანხმობა, რაც იძლევა საშუალებას, „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კურორტ გრიგოლეთის ცენტრალურ ქუჩას მიენიჭოს წმ. გრიგოლის სახელი.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი გოგუაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 3, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გვიმბალაურის ადმინისტრაციული ერთეულის სოფ. ჯუნეწერში არსებული სკვერისთვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენოსანი დავით ბოლქვაძის სახელის მინიჭების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის შესახებ ისაუბრა სხდომის თავმჯდომარემ **გიორგი გოგუაძემ**. მან განაცხადა, რომ სამთავრობო კომისიიდან მიღებულია თანხმობა, რაც იძლევა საშუალებას, სოფ. ჯუნეწერში არსებულ სკვერს მიენიჭოს „დავით ბოლქვაძის“ სახელი.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი გოგუაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 3, წინააღმდეგი არცერთი.

სხვადასხვა.

1. ირმა მგელაძე დაინტერესდა, თუ რა მდგომარეობაა რკინიგზის სადგურის მიმდებარედ, სადაც იგეგმებოდა არსებული ტერიტორიის კეთილმოწყობა.

ირაკლი ხუხუნაიშვილმა განმარტა, რომ ამჟამად დაწყებულია ტერიტორიის გასუფთავება, ასევე მიმდინარეობს დოკუმენტაციის მოწესრიგება მიმდებარე ტერიტორიის დასაკანონებლად, რათა მოეწყოს ავტოსადგური და ბაზარი.

2. ირმა მგელაძე დაინტერესდა, თუ როგორ ხდება მუნიციპალიტეტის მერიაში შესული წერილების წარმოება. ასევე აღნიშნა, რომ პირადად მერს, მიმდინარე წლის 1 ივნისს გაუგზავნა წერილი, თხოვა აეყვანა პირად კონტროლზე და გამოეგზავნა პასუხი, რომელიც ჯერაც არ მიუღია.

შოთა ჩაგუნავამ განმარტა, რომ თუ აღნიშნულ წერილში მოთხოვნილია საჯარო ინფორმაცია, აუცილებლად მოხდება რეაგირება.

ირმა მგელაძემ განაცხადა, რომ წერილში მოთხოვნილი იყო ა(ა)იპებში დასაქმებულ პირთა რეესტრი. მის თქმით საკრებულო თუ ამტკიცებს ა(ა)იპ-ების ბიუჯეტს, რატომ არ აქვს უფლება იცოდეს ვინ არის დასაქმებული. ამდენად თუ ის ვერ მიიღებს ამომწურავ პასუხს მიმართავს სასამართლოს.

3. გიორგი გოგუაძე დაინტერესდა -- როდესაც მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს ინფრასტრუქტურული სამუშაოები, რამდენად ავალდებულებს კომპანიას კანონმდებლობა, რომ ბანერებზე გამოტანილი იყოს შემსრულებლის ვინაობა, სამუშაოს დასრულების ვადები და დონორების მიერ დაფინანსებული თანხის ოდენობა. მისი მოსაზრებით მოსახლეობამ უნდა იცოდეს ევროკავშირიდან ან დონორი ორგანიზაციიდან შემოსული თანხა რამდენია და მუნიციპალიტეტის თანადაფინანსება რამდენი.

შოთა ჩაგუნავამ განაცხადა, რომ ის დონორი ორგანიზაციების ხელშეკრულებებს არ გაცნობია, ხოლო სივრცით-დაგეგმარების კოდექსში რაც არის გაწერილი, საინფორმაციო დაფის განთავსება და სხვა ვალდებულებები - გამოტანილია ბანერზე.

4. გიორგი გოგუაძე დაინტერესდა ზედამხედველობის სამსახურში გატარებული საკანონმდებლო ცვლილებები რატომ შეჩერდა და დაინიშნა თუ არა ახალი ხელმძღვანელი.

შოთა ჩაგუნავამ განმარტა, რომ მიმდინარეობს კონსულტაციები მთავრობასთან და როცა პასუხები მოვა გაგრძელდება პროცესები.

პატივისცემით,

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-
საკრებულოს ფრაქცია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"თავმჯდომარე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია
„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრების

სარეგისტრაციო ფურცელი
26.06. 2023 წელი
13.00 საათი

სახელი, გვარი	დაწყების დრო	ხელმოწერა
1. თავმჯდომარე – კახაბერ ასკურავა	—	ეს ასწრებდა
2. გიორგი გოგუაძე	13 00	
3. ირმა მგელაძე	13 00	
4. გივი ცინცაძე	13 00	